



## პერსონალისა გამოკითხვის შედეგები შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით


2019 წლის აპრილში თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის გამოკითხვა ჩატარდა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო აკადემიურმა და მონვეულმა პერსონალმა. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა პერსონალის ინფორმირებულობა პარტნიორი უნივერსიტეტის შესახებ, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესახებ, პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში, უცხოეთში სტაჟირებებში, ტრენინგებსა და სემინარებში, აკადემიური და მონვეული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებების მაჩვენებელი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, კოლეგებისთვის უცხოეთში მიღებული გამოცდილების გაზიარების მაჩვენებელი, საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ან პროფესიული ასოციაციის წევრობის და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებაში მონაწილეობის მაჩვენებელი.

კვლევის საბოლოო მიზანი იყო შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

აკადემიური და მონვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. აკადემიური და მონვეული პერსონალის მობილობისა და საგრანტო პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება. პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად საგრანტო პროექტებში ჩართულობის გაზრდა. ახალი პარტნიორი უნივერსიტეტების მოძიება;
2. აკადემიური და მონვეული პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა და ნაწილობრივ ან სრული დაფინანსება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის, უცხოეთში სტაჟირებების და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსების გასავლელად; ასევე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსება ნაწილობრივ ან სრულად;
3. აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
4. აკადემიური პერსონალის ინფორმირება და შემდგომ მათი მხარდაჭერა საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიებსა და პროფესიულ ასოციაციებში განწევრიანების მიზნით;

5. აკადემიური და მონვეული პერსონალის სამეცნიერო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით პოლიტიკის ანალიზისა და ანალიტიკის პოპულარიზაცია და გაძლიერება.



1. თუ მიგიღიათ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა
2. თუ მიგიღიათ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში
3. უცხოეთში გამოცდილების მიღების მიზნით თუ ჩაგიტარებიათ სემინარი
4. თუ გაქვთ გამოქვეყნებული სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში;
5. თუ გაქვთ ინფორმაცია თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
6. თუ გაქვთ ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე, საერთაშორისო საუნივერსიტეტო თანამშრომლობაზე
7. გაქვთ თუ არა მონაწილეობა მიღებული საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში
8. გაქვთ თუ არა მონაწილეობა მიღებული გაცვლით პროგრამებში

